პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 102
(7413)
29
1983 წ.
მაისი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან


ДОБРО ПОЖАЛОВАТЬ НА VIII ЛЕТНЮЮ СПАРТАКИАДУ НАРОДОВ СССР-1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი

ჩემპიონებს ცვლა სჭირდებათ

ტაშკენტი. ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირის თვალყურის დევნება არცთუ იოლია — თამაშები ერთდროულად სამ სტადიონზე მიმდინარეობს. უნდა შეარჩიო სად წახვიდე: წამყვანი ოსტატებისა თუ ახალგაზრდა სპორტსმენთა პაექრობაზე.

I-VIII ადგილებისათვის მებრძოლი საქართველოსა და ბელორუსიის გუნდების მატჩმა უამრავ გულშემატკივარს მოუყარა თავი. ბრძოლის სიმწვავით, დრამატიზმით ეს შეხვედრა ჩოგნის ოსტატთა შეჯიბრების მორიგი დღის მშვენება გახლდათ. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ, პროგნოზების საწინააღმდეგოდ, ქართველმა სპორტსმენებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 7:4.

როცა ერთეულთა ბოლო შეხვედრა მიმდინარეობდა, ანგარიში იყო 4:3 ბელორუსიის ჩოგბურთელთა სასარგებლოდ. ყველას ეგონა, რომ 15 წლის თბილისელ ვლადიმერ გაბრიჩიძეს წარმატების მცირე შანსი ჰქონდა გამოცდილ იგორ ზოზულიასთან, რომელიც მასზე 10 წლით უფროსია და ერთობ ათლეტურადაც გამოიყურება. მაგრამ ნორჩმა ქართველმა სპორტსმენმა შესაშური ტაქტიკური ხელოვნება აჩვენა, მისი მრავალფეროვანი ჩახვეული დარტყმები ხშირად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მეტოქეს.

განსაკუთრებულად კარგად შესრულებული დარტყმის შემდეგ ვალოდია იქით გაიხედავდა, სადაც მისი თანაგუნდელი და კერპი ალექსანდრე მეტრეველი იჯდა. იგი, რა თქმა უნდა, კმაყოფილია: ტყუილად არ ჩაუვლია ერთობლივ ვარჯიშს... გაბრიჩიძემ მესამე გამარჯვება მოიპოვა.

— ამ ყმაწვილიდან კარგი ჩოგბურთელი დადგება, — თქვა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა. — მჯერა, რომ იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ძალუძს აღორძინოს ქართული ჩოგბურთის დიდება. ვალოდია, ჩემის აზრით, სპარტაკიადის ერთ-ერთი აღმოჩენაა.

— ჩემსა და სერგეი ლიხაჩოვზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ — განაგრძო მეტრეველმა, — ვეტერანები წარსულს იგონებენო. მაგრამ მედალს მეორე მხარეც გააჩნია: არ გვყავს ახალგაზრდა ჩოგბურთელები, კერძოდ საქართველოსა და აზერბაიჯანში, რომლებსაც იმედიანად გადავცემდით ესტაფეტას.

ჩოგბურთი, როგორც ცნობილია, ოლიმპიური სახეობა გახდა. მინდა იმედი ვიქონიო, რომ საჩოგბურთო ტალანტების ძებნასა და აღზრდას უახლოეს დროში შეუდგებიან მწვრთნელები და სპეციალისტები, რომლებიც მრავლად გვყავს. მაგალითად, ამჟამად საქართველოს გუნდის მწვრთნელთა შორის არიან თავის დროის შესანიშნავი ოსტატები ნუგზარ მძინარიშვილი, ირინა რიაზანოვა, ალა ივანოვა...

რაც შეეხება თვითონ მეტრეველს, მან ბელორუსიელებთან მატჩში წყვილთა შეხვედრაში ქულა მოიპოვა ნორჩ თანამემამულესთან, 17 წლის ვიქტორ ხურდასთან ერთად. მათ დაამარცხეს წყვილთა ასპარეზობის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატები სერგეი ლეონიუკი და იგორ ტიხონკო.

ორი ტურის შემდეგ ლიდერობენ მოსკოვისა და უკრაინის ნაკრები გუნდები. მედლებისათვის ბრძოლა გრძელდება. (საკდესი).

* * *

ფინალური შეჯიბრების მეორე ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვი — რუსეთის ფედერაცია — 7:1, უკრაინა — ესტონეთი — 6:2, აზერბაიჯანი — ლატვია — 2:9.

მოსკოვში იასპარეზებენ...

ვარშავა. პოლონელმა სპორტსმენებმა კმაყოფილებით მიიღეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მიწვევა და ამჟამად აქტიურად ემზადებიან მოსკოვში ჩამოსასვლელად.

პოლონელი სპორტსმენები, — წერს პაპ-ის სპორტული რედაქციის გამგე ზ. ხმელევსკი, — გამოვლენ სპორტის 8 სახეობაში. გუნდის შემადგენლობაში 36 ათლეტია. ყველანი (მათ შორის დიდი შეჯიბრებების პრიზიორებიც არიან) მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილეებია.

გათვალისწინებულია, აგრეთვე, 8 მოჭიდავის (4-4 კლასიკური და თავისუფალი სტილისა), 4 ტრეკზე ველომრბოლის, 4 მხატვრული და 3 სპორტული ტანმოვარჯიშის გამოგზავნა.

(საკდესი).

კვლავ უმაღლეს ლიგაში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთში უმაღლესი ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდების მეორე ტურის მატჩები.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი შეხვდა ასტრახანის „ზარიას“. თამაში დამთავრდა ანგარიშით 28:21 ქართველ ხელბურთელთა სასარგებლოდ.

ჩვენმა გუნდმა ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა მომავალ წელს კვლავ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება.

რიგის „ცელტნიეკსმა“ სძლია ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ ანგარიშით 30:28 და შეინარჩუნა ადგილი უძლიერესთა შორის.

დღეს, დასკვნით ტურში ქართველი ხელბურთელები შეხვდებიან „ცელტნიეკსს“, თამაში 11 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

* * *

სურათზე: მეტოქის კარს უტევს ახალგაზრდა თბილისელი ხელბურთელი გ. დემეტრაშვილი.

ე. ხუცურაულის ფოტო.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სპარტაკიადაზე

სიმპათიური, მომღიმარე ქალიშვილი ოქროსფერი ნაწნავით — ასეთია დიდი საბჭოთა სპორტული ფორუმის ემბლემა — თილისმა. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადა-83-ზე“ — ლამაზი წინსაფრით პურ-მარილით ხელში ეპატიჟება იგი აფიშებიდან და პლაკატებიდან სპარტაკიადის მონაწილეებს, სტუმრებს, მაყურებლებს.

სასპარტაკიადო კატიუშას ავტორია მოსკოველი არქიტექტორი, 66 წლის მიხეილ მანუილოვი. ახალგაზრდობაში იგი კარგი სპორტსმენი იყო — „სპარტაკის“ ფრენბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდა. მ. მანუილოვი „ოლიმპიადა-80“-ის პლაკატის კონკურსის ლაურეატია. მას ეკუთვნის სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის წინა სპარტაკიადების ოფიციალური ემბლემების, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მედლების ესკიზები.

ლ. მიტიჩაშვილი.

ევროპის ჩემპიონატზე

საფრანგეთის ქალაქებში კანსა და ლიმოჟში გრძელდება ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი.

კანში, სადაც საბჭოთა კალათბურთელები თამაშობენ, მეორე შეხვედრაც ისრაელის გუნდთან ჩვენი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 92:87. ამავე ქალაქში მოასპარეზე პოლონელებმა დამატებით დროში მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს 75:72 (66:66), ხოლო გფრ-ის სპორტსმენებმა წააგეს ჰოლანდიელებთან 67:79. ახლა, ამ ჯგუფში ორი გამარჯვების შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა და ჰოლანდიელი კალათბურთელები.

ლიმოჟში მეორე გამარჯვება მოიპოვეს იტალიელებმა, რომლებმაც სძლიეს შვეციის გუნდს 89:74. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: საფრანგეთი — საბერძნეთი 79:77, ესპანეთი — იუგოსლავია 91:90. აქ ლიდერობენ იტალიელები, რომლებსაც ორი გამარჯვება აქვთ.

სპორტსმენები მშვიდობისათვის ბრძოლაში

„დაე, ერთადერთი გასროლა დედამიწაზე ეს იყოს სასტარტო პისტოლეტისა, დაე, უპირატესობისთვის ბრძოლა იყოს მხოლოდ სარბენ ბილიკზე, სპორტულ დარბაზსა და სტადიონების მწვანე მინდორზე. დაე, ჩვენი ხელები, რომლებიც იცავენ ოლიმპიურ ცეცხლს, არასდროს შეეხონ იარაღს“. სწორედ ეს ლოზუნგები გამოხატავენ ამერიკის ქალაქ ლოურენსში (კანზასის შტატი) გამართული ლამაზი სპორტული ფესტივალის ხასიათსა და შინაარსს.

ლოურენსის ფესტივალი გასცდა ტრადიციული მძლეოსნური, „კანზასური ესტაფეტის“ ჩარჩოებს.

საბჭოთა სპორტსმენებისა და ადგილობრივი საზოგადოებრიობის შეხვედრები მეგობრობისა და გულწრფელობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. საბჭოთა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო დისკუსიებში, რომლებიც ეხებოდა ისეთ აქტუალურ და საჭირბოროტო პრობლემებს, როგორიცაა მშვიდობა, გამალებული შეიარაღების შეზღუდვა, საერთაშორისო დაძაბულობის განელება, კონტაქტების (მათ შორის სპორტულის) გაუმჯობესება აშშ-სა და სსრ კავშირს შორის.

„სპორტსმენები მშვიდობისთვის ბრძოლაში“ — ასე ეწოდება ფესტივალის მომწყობ ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა ლოურენსში, 1982 წლის 6 ნოემბერს. მისმა ორგანიზატორებმა, ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიის აგენტმა ბობ სვენმა და მეცნიერებათა დოქტორმა მარკ სკოტმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის მხარის დასაჭერი რეფერენდუმის მომზადებაში.

ამ ფესტივალის ჩატარებით ორგანიზაციამ „სპორტსმენები მშვიდობისთვის ბრძოლაში“ ყურადღება მიიქცია აშშ-ში. სვენმა და სკოტმა შესაშური ენერგია გამოავლინეს ფესტივალის მომზადების დროს. ისინი გაემგზავრნენ ვაშინგტონში და დაითანხმეს სენატორები ნ. კასებაუმი, რ. დოულა (კანზასის შტატი), ე. კენედი და კონგრესმენი ჯ. სლეტერი მხარი დაეჭირათ მათთვის. საბჭოთა სპორტსმენების მიწვევას მხარი დაუჭირა აგრეთვე კანზასის გუბერნატორმა ჯ. კარლინმა, შტატის კანონმდებელმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა.

გადაწყდა, ორგანიზაცია „სპორტსმენები მშვიდობისთვის ბრძოლაში“ გადაიქცეს საერთაშორისო ორგანიზაციად. მისი მიზანია ჩაატაროს კონფერენციები განიარაღების პრობლემებზე, საერთაშორისო სპორტის პრობლემებზე, გამოჩენილი სპორტსმენების მონაწილეობით მოაწყოს დისკუსიები ბირთვული ომის საშიშროებაზე.

ორგანიზაციის ფუძემდებლებმა ბევრ ამერიკელ სპორტსმენს და საზოგადო მოღვაწეს გაუგზავნეს წერილი თხოვნით მხარი დაუჭირონ ამ საქმეში. შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შევიდა აშშ-ის ისეთი საზოგადოებრივი მოღვაწე, როგორიცაა ჯ. მიულერი, ორგანიზაციის — „ექიმები ბირთვული ომის თავიდან აცილებისთვის ბრძოლაში“ შემქმნელი, ე. კენედი-უმცროსი, სენატორ ე. კენედის ვაჟი, წარსულის ცნობილი სპორტსმენები ბობი ბიმონი, ჯო უაიტი და სხვები. ორგანიზაციას მხარს უჭერენ ისეთი გაერთიანებები, როგორიცაა „ფედერალისტთა მსოფლიო ასოციაცია“, „ლუთერანული ეკლესიის საბჭო“, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეთანხმების ამერიკული კომიტეტი“. აშშ-ის ყოფილი დიპლომატი და ელჩი სსრ კავშირში ჯ. კენანი, ცნობილი ჩიკაგოელი ბიზნესმენი ბად სოლკი და ბევრი სპორტული და საზოგადო მოღვაწე.

ორგანიზაცია „სპორტსმენები მშვიდობისთვის ბრძოლაში“ სულ უფრო დიდ პოპულარობას იხვეჭს აშშ-ში და თავის რიგებში იზიდავს ახალ-ახალ წევრებს.

(საკდესი).

VII '83

მიმდინარეობს საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა

როგორც ჩვენს ტრადიციას შეშვენის

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში ფეხბურთი დღემდე სულ ორჯერ შეიტანეს — 1956 და 1979 წლებში, პირველ და მეშვიდე სპარტაკიადებზე. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სპორტის ეს ყველაზე პოპულარული სახეობა ჩვენს სპარტაკიადებზე უმეტესად „თამაშგარე მდგომარეობაში“ იმყოფებოდა.

იმ ორივე წელიწადს, როცა სპარტაკიადამ ფეხბურთი „მიიღო“, საქართველოს ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია, ორივეჯერ — 1956 და 1979 წლებში, მეორე ადგილები დაიკავა და შესაბამისი რაოდენობის ქულები შესძინა რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის საერთო მონაპოვარს.

წლეულს, როგორც ვიცით, ფეხბურთი კვლავ ჩართეს საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში. მაგრამ თუ 1956 და 1979 წლებში მოკავშირე რესპუბლიკებს, მოსკოვსა და ლენინგრადს სპარტაკიადაზე თავიანთი უძლიერესი, ნარჩევ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები გამოჰყავდათ, ახლანდელი დებულებით თამაშის უფლება აქვთ მხოლოდ ახალგაზრდებს, კონკრეტულად კი 1963 და შემდგომ წლებში დაბადებულ ფეხბურთელებს. ამ ასაკს — 20 წლამდე, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა რატომღაც.

რა თქმა უნდა, ამ ასაკის ნიჭიერი ოსტატები საკმარისად გვყავს. ისინი თამაშობენ თბილისის „დინამოში“, ქუთაისის „ტორპედოში“, ლანჩხუთის „გურიაში“, II ლიგის გუნდებში, პერსპექტიული ფეხბურთელები არიან საქართველოს პირველობის მონაწილე და ჭაბუკთა გუნდებშიც. მათი რიცხვიდან საჭიროა ბრძოლისუნარიანი, შეთამაშებული, მონოლითური კოლექტივის შექმნა, დაუზარებელი, ენერგიული მზადება, სისტემატური ვარჯიში. სპარტაკიადაზე ყველა რესპუბლიკას ერთნაირი პირობები აქვს შექმნილი, საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ტოლი არ უნდა დაუდონ თანატოლ მეტოქეებს.

სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირით გათვალისწინებული ზონალური და ფინალური ეტაპების შეხვედრები გაიმართება ივლისის დასასრულს და აგვისტოს პირველ რიცხვებში. ამ პერიოდში საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები აქვთ ჩასატარებელი თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“ და ლანჩხუთის „გურიასაც“, ოსტატთა კატეგორიის სამივე ამ გუნდში, როგორც ცნობილია, ახლა სწორედ ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოდიან, ამიტომ სასპარტაკიადოდ ემზადებიან სხვა ჩვენი პერსპექტიული ჭაბუკებიც. ამის გამოა, რომ წინასწარ იმის თქმა, თუ საბოლოოდ როგორი იქნება ჩვენი სასპარტაკიადო ნაკრები, ვინ დაიცავს რესპუბლიკის ამ გუნდის სახელს, ამჟამად შეუძლებელია. დრო, თითქოს, ბევრი არაა დარჩენილი, მაგრამ უმთავრესი საქმე სწორედ ამ უახლოეს მომავალში უნდა გაკეთდეს. ამ პერიოდში მოხდება მოთამაშეთა შერჩევაც და ნაკრების შეთამაშებაც, საწვრთნელი შეხვედრებიც და შემადგენლობის საბოლოო დადგენაც.

საქართველოს სასპარტაკიადო გუნდს ხელმძღვანელობენ გამოცდილი სპეციალისტები, უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი, მწვრთნელები — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ზაზროევი, სპორტის ოსტატი ა. ილიადი, გუნდის უფროსი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი კ. ყრუაშვილი. ნაკრების ექიმია თ. ქუთათელაძე, ადმინისტრატორი — ე. სარალიძე.

ფეხბურთელთა სასპარტაკიადო გუნდს უკვე ჰქონდა რამდენიმე საწვრთნელი შეკრება მარტში, აპრილში, მაისში, ფეხბურთელები ახლაც შეიკრიბნენ თბილისის „ლოკომოტივის“ ბაზაზე, სადაც საუკეთესო პირობებია შექმნილი სავარჯიშოდ და დასასვენებლად, სტადიონის მწვანე მინდორზეც და სასწავლო ოთახებშიც მიმდინარეობს გულმოდგინე, დაუღალავი მუშაობა, საქმე ბევრია.

მწვრთნელთა განკარგულებაში ამჟამად იმყოფებიან ოსტატთა გუნდების წარმომადგენლებიც და საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდების წევრებიც, უახლოეს ხანებში კი მათ შეემატებიან თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ ის მოთამაშეები, რომლებიც გაწვეული იყვნენ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში და საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობდნენ.

ნაკრებმა ბოლო ხანებში გამართა რამდენიმე საწვრთნელი მატჩი, ითამაშა თელავის, მაიაკოვსკის გუნდებთან, თბილისის „ავიატორთან“ და „სპარტაკთან“, „იმედის“ რესპუბლიკურ ნაკრებთან, ამას წინათ კი იყო ერევანში. აქ იგი შეხვდა სომხეთის ნაკრებს, რომელიც აგრეთვე ემზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ არ გვინდა რაიმე საგანგებო მნიშვნელობა მივანიჭოთ ამგვარ სპარინგ-მატჩს, რომელიც მარტოოდენ საწვრთნელ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სომხეთის ნაკრებში გამოდიოდნენ ერევნის „არარატის“, აბოვიანის „კოტაიკის“, ლენინაკანის „შირაკის“, ოქტემბერიანის „სპარტაკის“ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელები და ჩვენებმა მეტოქის მინდორზე გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1, ეს, უდავოდ, საიმედო, დამაჯერებელი წინამძღვარია.

სპარტაკიადის დაწყებამდე ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს რთული გამოცდა სხვაც საკმარისად ექნება. მალე, 21-24 ივნისს ტალინში გაიმართება ცნობილი ესტონელი ფეხბურთის არბიტრის ე. ჰიარმსის სახელობის ტურნირი, მასში მონაწილეობას მიიღებენ ესტონეთის, ლატვიის, ლიტვისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

თვით სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირი დაიწყება 20 ივლისს. წინასწარ ჯგუფში, რომლის შეხვედრები გაიმართება ქ. ივანოვოს სტადიონებზე, თავი მოიყარეს საქართველოს, ლენინგრადის, მოლდავეთისა და ტაჯიკეთის გუნდებმა.

ჩვენი ნაკრების თამაშების კალენდარი ივანოვოს ჯგუფში ასეთია:

20 ივლისი. საქართველო — მოლდავეთი.
22 ივლისი. საქართველო — ლენინგრადი.
24 ივლისი. საქართველო — ტაჯიკეთი.

ჯგუფის შემადგენლობა იოლი არაა, ვინაიდან ლენინგრადის, მოლდავეთისა და ტაჯიკეთის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ გუნდებს მრავალგზის მოუპოვებიათ წარმატება საკავშირო შეჯიბრებებში. რა თქმა უნდა, მათთან შეუპოვარი ბრძოლა მოგველის, მაგრამ რახან თითოეული წინასწარი ჯგუფიდან (მათი რაოდენობა კი ოთხია), ნახევარფინალში თამაშის უფლებას მიიღებენ პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები, ყველაფერი უნდა გაკეთდეს წარმატების მისაღწევად.

ამრიგად, ნახევარფინალის საგზურს ჯგუფებიდან მიიღებს 2-2 გუნდი, შემდეგ შეიქმნება ახალი, „ა“ და „ბ“ ჯგუფები, აქ გათამაშება მოეწყობა 27-31 ივლისს მოსკოვისა და რიაზანის სტადიონებზე, 3 აგვისტოს კი მოსკოვში შედგება სპარტაკიადის ფინალური მატჩი. ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ა“ და „ბ“ ჯგუფებში გამარჯვებულები, მეორე ადგილებზე გასულნი ითამაშებენ საერთო მესამე ადგილისთვის და ა. შ.

ცხადია, ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს უძნელესი ბრძოლა მოელით, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ფეხბურთელთა სასპარტაკიადო ნაკრები ითამაშებს ღირსეულად.

გ. ქორქია.

* * *

სურათებზე: სპარტაკიადის ფეხბურთელთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდის საწვრთნელი შეხვედრის მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

მეშახტეთა სასახლეში

ტყიბულის მეშახტეთა სასახლეში გაიმართა საქართველოს VIII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ამ ტურნირს, როგორც ცნობილია, წინ უძღოდა ზონალური პირველობები, სადაც განაწილდა ფინალის საგზურები. სულ 159 ფალავანი იბრძოდა სპარტაკიადის მედლებისთვის. აქვე გამოვლინდნენ საქართველოს 1983 წლის ჩემპიონები.

გუნდურ ჩათვლაში 246 ქულით I ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა, მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისის (204) და ქალაქ გორის (151) მოჭიდავეები. სპეციალისტებისა და ჭიდაობის მოყვარულების მოწონება დაიმსახურეს ზ. სირაძემ (ყვარელი), ზ. ჭალელიშვილმა (მცხეთა), ნ. ბახბახიშვილმა (თელავი), ვ. ოსიშვილმა (კასპი), თ. შეთეკაურმა (ახმეტა), ე. ზურაბიანმა (მესტია), გ. ბაბილაშვილმა (თელავი), მ. ბითაძემ (თბილისი) და სხვებმა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჯ. პაპინაშვილმა (აჭარა), რომელმაც ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და სპარტაკიადის ოქროს მედალთან ერთად საქართველოს ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა. პაპინაშვილმა, როგორც შეჯიბრების ბევრმა სხვა მონაწილემ, საქართველოს სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთები აშკარად მოუმზადებელნი გამოვიდნენ სარბიელზე, ცუდად ფლობდნენ ქართული ჭიდაობის ილეთებს, უინიციატივოდ, პასიურად ჭიდაობდნენ.

ბოლო პერიოდში ქართულ ჭიდაობას განსაკუთრებული ყურადღება რომ მიექცა, ამას ყველა გრძნობს და ხედავს. ახლა მთავარია მწვრთნელებმა, ჭიდაობის ენთუზიასტებმა უფრო გააქტიურონ მუშაობა, ნაღდი ქართული ილეთები ასწავლონ თავიანთ შეგირდებს და ღირსეული რეზერვი მოუმზადონ ჭიდაობის კლასიკურ სახეობებს. ჩვენ გავესაუბრეთ ტყიბულში ჩამოსულ მწვრთნელებს, ჭიდაობის სპეციალისტებს. მათ აღნიშნეს, რომ ადგილებზე საგანგებოდ ემზადებიან ქართული ჭიდაობის დღისთვის — 18 სექტემბრისთვის. ეს დღე ქართული ჭიდაობის ჭეშმარიტ ზეიმად უნდა იქცეს — ასეთია საერთო განწყობილება...

სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები:

56 კგ. ჯ. პაპინაშვილი (აჭარა), ვ. ვაჩიბერიძე (ქუთაისი), ძ. მარგოშვილი (თბილისი).

60 კგ. შ. ტალახაძე (თბილისი), ფ. ადამია (ქუთაისი), ტ. ბასილაძე (ტყიბული).

64 კგ. მ. ბითაძე (თბილისი), ი. ჩოჩიშვილი (გორი), ჯ. სურმანიძე (აჭარა).

68 კგ. ე. ჯანგირაშვილი (ტყიბული), გ. ელბაქიძე (თბილისი), თ. ნოსელიძე (ქუთაისი).

73 კგ. გ. ტაბლიაშვილი (თბილისი), ზ. კეთილაძე (ქუთაისი), ი. ხოსრუაშვილი (გორი).

79 კგ. გ. ზალოშვილი (თბილისი), ვ. გაბუნია (ქუთაისი), ბ. გამგებელი (გორი).

87 კგ. ფ. წიწილაშვილი (ქუთაისი), გ. ბითიევი (თბილისი), ა. მსუქნიძე (ჭიათურა).

+87 კგ. ვ. შუბითიძე (რუსთავი), თ. ვიბლიანი (ზუგდიდი), ბ. ტურძელაძე (ტყიბული).

წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს 1983 წლის ჩემპიონები გახდნენ ჯ. პაპინაშვილი (აჭარა), გ. გორგაძე (მცხეთა), მ. ბითაძე (თბილისი), გ. ფოთოლაშვილი (თელავი), ი. ობგაიძე (მცხეთა), ვ. ოსიშვილი (კასპი), გ. ბაბილაშვილი (თელავი) და ნ. ნუგზარიშვილი (კასპი).

თ. ქიქავა,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

• • •

სურათზე: საქართველოს VIII სპარტაკიადის ჩემპიონები: (პირველ რიგში, მარცხნიდან) — შ. ტალახაძე, ჯ. პაპინაშვილი, მ. ბითაძე. მეორე რიგში — ვ. შუბითიძე, ფ. წიწილაშვილი, გ. ზალოშვილი, გ. ტაბლიაშვილი, ე. ჯანგირაშვილი.

ავტორის ფოტოები.



თბილისელი ჰოკეისტები—ჩემპიონები

აფხაზეთის კურორტ ეშერაში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს VIII საზაფხულო სასპარტაკიადო შეჯიბრება ბალახის ჰოკეიში ქალთა გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილე აჭარის, აფხაზეთის, თბილისისა და ქუთაისის ნაკრებმა გუნდებმა პირველობა წრიული სისტემით გაითამაშეს.

თბილისელ ჰოკეისტებს პირველ ტურში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია აფხაზეთის ნაკრებმა, მაგრამ თამაშის 25-ე წუთზე თბილისელ ტ. გალჩავას მიერ გატანილი ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა — 1:0, აჭარის ნაკრებმა დაამარცხა ქუთაისელები — 3:0 (ბურთები გაიტანეს ნ. გოგიშვილმა, ვ. და გ. ბერიძეებმა).

მეორე ტურში დაძაბულად წარიმართა შეხვედრა წინა სპარტაკიადის ჩემპიონ აჭარისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის. თბილისელი ჰოკეისტები (მწვრთნელები ა. ბურჯანაძე და გ. კოპალიანი) გაცილებით უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ და მეტოქე დაჯაბნეს როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურადაც, თბილისელებს მრავალჯერ შეეძლოთ მეტოქის კარის აღება, მაგრამ საბოლოო დარტყმები არაზუსტი იყო.

65-ე წუთზე თბილისელმა ნ. ასრათაშვილმა გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და ძლიერი დარტყმით ბურთი მეტოქის კარში მოათავსა. დარჩენილ დროში ორივე გუნდის თავდამსხმელებს ჰქონდათ კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ საბოლოოდ ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ფრედ — 0:0 დამთავრდა აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდების შეხვედრა. მოულოდნელი შედეგით აღინიშნა მესამე ტურის მატჩი თბილისელ და ქუთაისელ ჰოკეისტებს შორის. თბილისელებმა ვერ გაითვალისწინეს მეტოქის ძალა და უკვე მე-8 წუთზე 2 ბურთი მიიღეს საკუთარ კარში. ორივე გოლი ფ. აბრამიანმა გაიტანა.

დარჩენილ დროში თბილისელები განუწყვეტლივ უტევდნენ. მაგრამ უშედეგოდ. 25-ე წუთზე თ. ტოგოშვილის მიერ გატანილი ბურთის შემდეგ თბილისელებმა შეძლეს თავი დაეღწიათ მშრალი ანგარიშით დამარცხებისთვის— 1:2.

ამ წარუმატებლობის მიუხედავად, თბილისელმა ჰოკეისტებმა მოიპოვეს სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო წოდება.

აჭარის ჰოკეისტებმა ძლიერად ითამაშეს აფხაზეთის ნაკრებთან და დაამარცხეს მეტოქე — 2:0 (ბურთები გაიტანეს გ. შარაშენიძემ და მ. კრომლიდიმ). მათ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. მესამე ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელ ჰოკეისტებს. აფხაზეთის ნაკრები მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი საჩოთირო ამბავი: თბილისელი ჰოკეისტები სპარტაკიადაზე გამოდიოდნენ სხვადასხვა ფერის ფორმით.; ნუთუ შეუძლებელი იყო გუნდის წევრებისთვის ერთნაირი სპორტული ფორმის შეძენა?

ლ. ფაჩუაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მდივანი.
(„ლელოს“ კორ.).

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

7. ტოლსტოი და ლესგაფტი საქართველოში

დიდ რუს მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის ბევრი რამ აკავშირებდა საქართველოსთან. ქართველი საზოგადოებრიობა იცნობს „ომისა და მშვიდობის“ ავტორის დიდ ღვაწლს რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული კავშირების განმტკიცებაში. ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ ქართული პედაგოგიკური აზროვნების, კერძოდ ფიზიკური აღზრდის იდეების შემდგომ განვითარებაში ლ. ნ. ტოლსტოის „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის როლი და ის პოზიცია, რომელიც ქართულმა პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ დაიკავა ამ თეორიის მიმართ.

როგორც ცნობილია, იასნაია პოლიანას სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებიც ტოლსტოის „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის მიხედვით ტარდებოდა. „დიდ ხალვათ ოთახში, — იგონებს ტოლსტოის ერთ-ერთი მოწაფე, — მოწყობილი იყო ღერძი და რგოლები, დანადგარები, ორფეხიანი, ფეხიანი და უფრო პატარა გორები, ერთი სიტყვით, ყველა ნივთი ტანვარჯიშული ხელოვნებისათვის. ჩვენ, მოსწავლეებს, გვიყვარდა ვარჯიშობა ლევ ნიკოლოზის-ძესთან ერთად“.

ლ. ნ. ტოლსტოის ამ თეორიაზე ბევრი დაიწერა ჩვენს პედაგოგიკურ ჟურნალ „განათლებაში“. „საზოგადოდ აღზრდაში, — ვკითხულობთ ჟურნალის 1908 წლის № 7-8, — როგორც ფიზიკურს, ისე გონებრივშიაც, უმთავრესია, რომ ძალდატანებით არაფერი არ მოახვიოთ თავზე ბავშვს, არამედ შეარჩიოთ დრო და პასუხი მისცეთ მაში აღორძინებულს მოთხოვნებზე... შესაძლოა ზოგიერთ აზრებში ლ. ტოლსტოის ვინმე არ დაეთანხმოს, მაგრამ უეჭველია, რომ მისი შეხედულება წინ გვიყენებს სასტიკ და მთლიან თეორიას სწავლა-აღზრდის საქმეში ბავშვის პიროვნების უსაზღვრო პატივისცემის საფუძველზე... დღევანდელს მომენტში ტოლსტოის პედაგოგიური აზრები განსაკუთრებულს ღირებულებას და ინტერესს ღებულობს; ამით უნდა ისარგებლოს ყველა მასწავლებელმა, აღმზრდელმა და მშობელმა“.

ჟურნალის რედაქტორი ლ. ბოცვაძე ბევრ საერთოს ხედავს ტოლსტოის „თავისუფალი აღზრდის“ თეორიასა და აკაკი წერეთლის პედაგოგიკურ აზრებს შორის, განსაკუთრებით ტანვარჯიშისა და ხალხური თამაშებისადმი დამოკიდებულების საკითხში. თამაშებისადმი აკაკის ტრფიალის მიზეზს ჟურნალის რედაქტორი იმით ხსნის, რომ ტანვარჯიში ძალდატანებითი საქმიანობაა, თამაშობა კი საჭიროებს ბავშვთა თავისუფალ, ძალდაუტანებელ მოქმედებას. თავისუფალი აღზრდის თეორია, როგორც ლ. ბოცვაძე მიუთითებს, განსაკუთრებით გამოსაყენებელია ქართულ მოძრავ თამაშებში, „რომლებშიც ბავშვებს შეაქვთ თავისი გულის ზრახვა, შემოქმედება და თვით მოქმედება. ყველაზე უფრო საყვარელიც ის სათამაშო ნივთია, რომელიც ბავშვს თვითონ თავისი ხელით, გონებით შეუქმნია“. შემდეგ ავტორი თავის აზრს განამტკიცებს დიდი გერმანელი პოეტის გოეთეს სიტყვებით: „ბავშვი თამაშობის დროს რისგანაც რა უნდა, იმას აკეთებს: ჯოხი თოფად გადაიქცევა, ხის ნაჭერი —ხმლად, ჩვარი — დედოფლებად და ყოველი კუთხე — ქოხად“.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში ტოლსტოის „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება არ არსებობდა. ზოგი ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის გარეშე მოითხოვდა მის გამოყენებას, ზოგი კი ხელაღებით უარყოფდა მას. მოვიყვანთ ამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებების ამსახველ ორ ფაქტს.

ჟურნალ „განათლების“ ავტორი მ. ჯაკობია წერდა 1910 წელს (№ 3, გვ. 180): „თამაში გულისხმობს მოქმედების თავისუფლებას, თვითნებობას, აი ამაშია მისი განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობა... მე შემცდარად მიმაჩნია, რომ ბავშვს აგრძნობინებენ, რომ მის შექცევებს და თამაშს ვინმე უთვალთვალებს პედაგოგიურის მიზნით. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება მალე შევწყვიტოთ ბავშვის თამაშების ზედამხედველობა და მივანდოთ მათ თამაშის სრული თვითნებობა, დე, იმოქმედონ თავიანთი მოსაზრებულობით“. ცხადია, „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის ასეთი ცალმხრივი გადმოღება ბოლომდე არ იყო გამართლებული. მაგრამ არც მეორე უკიდურესობა იქნებოდა სასარგებლო, რასაც ჟურნალ „განათლების“ ავტორი ნ. სირბილაძე გვთავაზობს თავის წერილში „ცოტა რამ თავისუფალ აღზრდაზე“ (1915, № 4, გვ. 267). როგორც ავტორი მიუთითებს, თავისუფალი აღზრდის თეორია ვერც ფიზიკურ აღზრდაში გაამართლებსო. როდესაც მოსწავლეთა ერთ ნაწილს ზღაპრის წაკითხვა სურს, მეორე ნაწილი უპატრონოდ თამაშობს ეზოში. „ამ დროს კლასში შემოდიან თამაშით დაქანცული ბავშვები. ყველა კითხვას უგდებს ყურს, უცებ გაისმის გარეთ ბავშვის ტირილი, და ერთი ხრიალია მეორე ოთახში. ჩემი აუდიტორია ერთიანად იშლება და მეორე ოთახში გადის. იქ კი ორი ბავშვი ერთმანეთს ნაჯახს ართმევს — არა მე უნდა ვიმუშაო და არა მეო“. ერთი სიტყვით, აქ უკვე „თავისუფალი აღზრდის“ თეორია სასკოლო ქაოსის მიზეზადაა მიჩნეული.

მაგრამ ასეთი შეხედულებების მიუხედავად, საბოლოოდ ჟურნალი მაინც დარჩა „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის აპოლოგეტად.

* * *

ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში, როგორც ჩანს, დიდი დაფასება ჰქონია ფიზიკური განათლების ორიგინალური თეორიის შემქმნელს პეტრე ფრანცის ძე ლესგაფტს. ჩვენს ხელთაა დიდი ილიას გაზეთი „ივერიის“ 1889 წლის 18 ოქტომბრის ნომერი. გაზეთმა ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას მიუძღვნა ვრცელი მოწინავე წერილი, სადაც სწორედ პ. ფ. ლესგაფტის ავტორიტეტია მოშველიებული. მაგრამ მანამდე ვნახოთ, როგორაა გაშუქებული წერილში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის თეორიის ზოგიერთი საკითხი.

პირველ რიგში, დახასიათებულია საქართველოს სკოლებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის დაბალი დონე. „გადამეტებული ჯდომა და ვარჯიში გონებისა და თითქმის სრული უვარჯიშობა და [illegible] ჯანისა და აგებულებისა... იმით თავდება, რომ გონებასაც ღონე უდუნდება, სიცხოველე, მკვირცხლობა, მჭრელობა აკლდება და ჯანი და აგებულება ხომ იხუთება და ილახება... ამის მიზეზს ყველანი იმას აბრალებენ, რომ ეხლანდელ სასწავლებელში მეტად უყურადღებოდ დაგდებულია ჯანისა და აგებულების ვარჯიშობა და წვრთნა. „სკოლაშიო, — განაგრძობს გაზეთი; — დავიწყებულია, რომ ჯანსა და აგებულებას მოზარდისას იმდენივე მოვლა, პატრონობა, წვრთნა და ხელის შეწყობა უნდა, რამდენადაც სულსა, ესე იგი ჭკუა-გონებას, რომ მოზარდი საბოლოოდ რაც შეიძლება სრულ იქმნას სულითაც და ხორცითაც“.

ვრცელი შესავლის შემდეგ გაზეთი ამცნობს მკითხველს, რომ 1889 წელს „სწავლა-განათლების მინისტრს მიუღია ცირკულარი, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია მთელს რუსეთში. „რვას ოქტომბერს მომხდარა დიდი კრება პედაგოგებისა პეტერბურგში. ამ კრებას დიდი ხალხი დასწრებია და ბ-ნ მინისტრის ცირკულარისაგან წარმომდგარ საგანზე ჰქონიათ სჯა და ლაპარაკი. კრების თავმჯდომარეს პროფესორ ლესგაფტს წარმოუთქვამს პირველი სიტყვა და გამოურკვევია თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ჯან-აგებულების წვრთნა და რა მეტოდი და ღონე უნდა იხმაროს სკოლამ ამ წვრთნისთვის. რამდენიმე დანასკვნი წარმოსდგა ამ წარმოთქმულ სიტყვისაგან და კრებამ კი მოასწრო გარჩევა მარტო ორისა“. პირველი ის იყო, რომ კრებამ ერთხმად დაადასტურა: სკოლაში „ჯან-აგებულების წვრთნა“ აუცილებელი და საჭიროაო. მეორე დადგენილებით კრებას განუსაზღვრავს თუ რამდენი საათი უნდა დაეთმოს გაკვეთილებს, მასთან— ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს. გაზეთს სწამს, რომ ამით „მოზარდ თაობას კარგად საგრძნობელი შეღავათი მოელის, იმისთანა შეღავათი, რომელიც სულსაც არგებს და ხორცსაც“.

დასასრულს, გაზეთი გამოთქვამს იმედს: „რაც შეიძლება მალე აგვისრულდეს მოლოდინი ამ შეღავათისა და მალე გაგვიხორციელდეს ეს კეთილ-გონიერი განაჩენი პედაგოგებისა მოზარდის თაობის საბედნიეროდ და ქვეყნის სასიკეთოდ. ყველასათვის მეტისმეტად სანატრელია, რომ სკოლით გაწვრთნილი ყმაწვილი კაცი ხორცითაც ისეთი საღი და მთელი ყოს, ისეთი ძალ-ღონიერი, როგორც სულითა და გულით. წვრთნას, სწავლებას, განათლებას და ერთობ სკოლას სხვა ამის მეტი საგანი და დანიშნულება არა აქვს და მაშასადამე, არც უნდა ჰქონდეს“.

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მართვის ორგანიზაციისა და ისტორიის კათედრის პროფესორი.

დასასრული. იხ. „ლელოს“ №№ 39, 43, 57, 67, 73, 87.

იუბილეს მიეძღვნა

საქართველოს ალკკ ამბროლაურის რაიკომისა და სპორტსკოლის ინიციატივით ამბროლაურში მოეწყო მოტოკროსი მარშრუტით ამბროლაური — ონი—მამისონის უღელტეხილი.

მოტოკროსში, რომელიც მიეძღვნა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ტრაქტატის იუბილეს, მონაწილეობა მიიღო 28 მოტოციკლისტმა. მარშრუტი ამბროლაურელ სპორტსმენებს შემთხვევით არ აურჩევიათ. ეს გზა, მამისონის გადასასვლელით, რუსეთთან აკავშირებდა საქართველოს. გზად მიმავალი ელჩები თუ ქართველი ბატონიშვილები რაჭის ხშირი სტუმრები იყვნენ.

მამისონის გადასასვლელზე, ზღვის დონიდან 2800 მეტრზე ასულმა სპორტსმენებმა შეხვედრა მოუწყვეს მოსკოვის ოლქის ქ. დემინის ტურისტულ ჯგუფს, რომლის ლაშქრობაც ასევე ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნებოდა.

სპორტსმენებმა 400 კილომეტრი 6 საათში დაფარეს.

დ. დარახველიძე,
გაზეთ „კომუნიზმის დროშის“ რედაქტორის მოადგილე.

• • •

სურათზე: რუს და ქართველ ტურისტთა ჯგუფი.

როცა მიზანი ნათელია

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იამზე სამსიანი ერთი შეხედვით არ განსხვავდება სხვა სტუდენტი ახალგაზრდებისაგან, მაგრამ საკმარისია სულ რამდენიმე წუთი დაჰყო მასთან, რომ მაშინვე დარწმუნდები მის გამორჩეულობაში და განსაკუთრებული სიმპათიით განიმსჭვალები მის მიმართ.

იამზე ქუთაისის რაიონის სოფელ გუბის საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ სამტრედიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა, ბეჯითი მოწაფე იყო, ყველაფერს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ბავშვობიდან იტაცებდა სპორტი, ხალისით და მონდომებით ვარჯიშობდა კალათბურთში.

— ვიცი, რომ ახლა მძლეოსნობით, კერძოდ, გრძელ მანძილებზე სირბილით ხართ გატაცებული. რამ გამოიწვია სახეობის შეცვლა? — ვეკითხები იამზეს.

— მართალი გითხრათ, ყველაფერი შემთხვევამ განაპირობა, — ამბობს იგი. — ორი წლის წინ სამედიცინო ინსტიტუტში ვაბარებდი მისაღებ გამოცდებს, მაგრამ ვერ მოვხვდი. მეცადინეობის პარალელურად ვვარჯიშობდი კალათბურთში. შარშან, მარტში ტარდებოდა დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის პირველობა მძლეოსნობაში. მორბენალი ქალები აკლდათ და მწვრთნელმა მთხოვა მონაწილეობა მიმეღო ამ შეჯიბრებაში, გამერბინა 3000 მეტრი. ვირბინე და მესამე ადგილიც დავიკავე, სწორედ ამის შემდეგ გამიტაცა სირბილმა და სისტემატურ ვარჯიშსაც შევუდექი.

ეს იყო ძალების მოსინჯვა, სხვათა შორის, არც თუ ურიგო. ამის შემდეგ იამზე რაიონის ნაკრებში ჩარიცხეს. მალე ისევ მესამე ადგილი დაიკავა, ამჯერად ქალაქის პირველობაზე. ორიოდე თვის შემდეგ ცხინვალში ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე, უკვე თბილისის ნაკრების წევრი სამსიანი მე-4 იყო. ამჟამად იამზე პირველთანრიგოსანია 3000 მეტრზე რბენაში, ხოლო მეორეთანრიგოსანი — მარათონში.

— ახლა ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობთ. ეს არჩევანი ბოლოა?

— როცა სერიოზულად დავფიქრდი, მივხვდი, რომ ჩემი მთავარი გატაცება სპორტია და გადავწყვიტე, როგორც სპორტსმენმა, ჯერ თვითონ გამოვავლინო შესაძლებლობების მაქსიმუმი, მერე კი, როგორც პედაგოგმა და სპეციალისტმა, გამოცდილება გავუზიარო ბავშვებს, მომავალ თაობას.

რას აპირებს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჰკითხავთ თუ არა, უმალ გიპასუხებთ:

— გადაწყვეტილი მაქვს წავიდე მშობლიურ მესტიაში და ვიმუშაო მასწავლებლად. თუ რაიმე შემიძლია გავაკეთო როგორც პედაგოგმა და სპეციალისტმა, მინდა გავაკეთო იქ, სადაც ეს საჭირო და აუცილებელია.

— თქვენი თაობის პრობლემათაგან ყველაზე მეტად რომელი გაფიქრებთ? — ვკითხე საუბრის ბოლოს.

ერთხანს დაფიქრდა...

— ჩვენი ქალები ჩამორჩებიან სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ უმრავლესობა სპორტს მისდევს მხოლოდ ბავშვობაში, მხოლოდ სასკოლო ასაკში. ისინი კი, ვინც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროსაც აგრძელებენ სისტემატურ ვარჯიშს, ხშირ შემთხვევაში დაოჯახებისთანავე ანებებენ თავს სპორტს. მინდა მივმართო ჩემს თანატოლებს, ქართველ სპორტსმენ ქალებს, მათ, ვისაც შეუძლია სახელი გაუთქვას ქართულ სპორტს და სულ „უმნიშვნელო“ ერთი ქულა ჩაწეროს საქართველოს სპორტულ მიღწევათა დიდ წიგნში: ნუ მიატოვებთ სპორტს, გახსოვდეთ, რომ თქვენ ქმნით ქართული სპორტის სახელს და დიდებას.

ნ. სიჭინავა.

* * *

სურათზე: იამზე სამსიანი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

გაერთიანება
„სპორტსაქონელი"
სპორტისა და ტურიზმის საქონლის

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

თბილისელებს, დედაქალაქის სტუმრებს,
ყველას, ვისაც უყვარს ფიზკულტურა, სპორტი, ტურიზმი,
ვურჩევთ ისარგებლონ გაერთიანება „სპორტსაქონლის" მომსახურებით — გამარჯვების პარკში, იქ სადაც იწყება გზა ეთნოგრაფიული მუზეუმისა და კუს ტბისაკენ, შეიძინონ სპორტული ფორმა და ინვენტარი, მიაშურონ სპორტულ მოედნებსა და დარბაზებს, ტურისტულ ბილიკებს.

ასეთი გამოფენა-გაყიდვა ეწყობა ყოველ შაბათ-კვირას.

დღესვე შეუდექით ზრუნვას საკუთარი ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის!

სურათებზე: გამოფენა-გაყიდვაზე. ე. ხუცურაულის ფოტოები.

● მხატვრული ტანვარჯიში

მსოფლიო ჩემპიონი ჩამოიტოვა

ტოკიო. აქ დამთავრებულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა ბულგარელმა სპორტსმენმა დ. გეორგიევამ. 17 წლის დილიანამ მრავალჭიდში 38,70 ქულა მოაგროვა და 0,25 ქულით გაუსწრო თავის სახელოვან თანამემამულეს, მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ა. რალენკოვას. III ადგილზე გავიდა დ. ბოშანსკა (ჩეხოსლოვაკია) — 38.

16 წლის მოსკოველმა ს. კუდინოვამ IV ადგილი გაიყო იაპონიის ოთხგზის ჩემპიონ ხ. იამაძისთან — 37,75-37,75. ასტრახანელი გ. ბელოგლაზოვა VI იყო. ცალკეულ სახეობებში ასპარეზობისას ბელოგლაზოვა საუკეთესო იყო რგოლით ვარჯიშში (19,25), გეორგიევა — გურზებით (19,55), რალენკოვამ ბურთით ვარჯიშში უმაღლესი შეფასება (19,80) დაიმსახურა, ხოლო ლენტით ვარჯიშში კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური გაიყო ბოშანსკასთან — 19,05-19,05.

ტურნირში 12 ქვეყნის 19 ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა.

(საქდესი).

● მძლეოსნობა

მაღალი შედეგით

17 მ და 25 სმ — ასეთი შედეგით აღინიშნა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტ ა. ბესკროვნის გამოსვლა სამხტომში დედაქალაქის სპარტაკიადაზე. ეს წლევანდელ სეზონში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნახტომის გამეორებაა, რომელიც მანვე ორი კვირის წინ აჩვენა. მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ (16,92) მის მეტოქეებსაც, დინამოელ ი. ჩეკმარიოვსა და ვ. პლეხანოვს.

სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ბირთვის მკვრელმა ნ. ლისოვსკაიამ, რომელსაც სახელგანთქმული მტყორცნელი ფ. მელნიკი ამზადებს, ბადრო 59 მ და 96 სმ-ზე გაგზავნა.

1500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ა. იუშინამ (4.05,81), 10-კილომეტრიან მანძილზე კი ტოლი არ ჰყავდა მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონს ესტონელ თ. ტურბის — 28.31,64.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

ფინელები ემზადებიან

ოთხშაბათს, 1 ივნისს, როგორც ცნობილია, ჰელსინკში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფინეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ამით დამთავრდება II საკვალიფიკაციო ჯგუფის შეხვედრათა საგაზაფხულო ციკლი, მომდევნო მატჩები დანიშნულია გვიან შემოდგომით და ფაქტიურად მხოლოდ ნოემბრის შუა რიცხვებში გაირკვევა თუ ვინ მიიღებს 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზურს.

II ჯგუფის შემადგენლობა კარგადაა ცნობილი ფეხბურთის მოყვარულთათვის: სსრ კავშირი, პოლონეთი, პორტუგალია, ფინეთი. ფინელმა ფეხბურთელებმა პრაქტიკულად უკვე დაკარგეს ფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი, მაგრამ მათთვის საპრესტიჟო მნიშვნელობა აქვს დარჩენილ შეხვედრებს. ამიტომაც ისინი ინტენსიურად ემზადებიან მომავალი ბრძოლებისთვის და უპირველესად ყოვლისა 1 ივნისის მატჩისთვის.

ფინეთის ნაკრები, რა თქმა უნდა, არ მიეკუთვნება ევროპული ფეხბურთის ელიტას, მაგრამ ოფიციალურ შეჯიბრებებში მას შეუძლია „კლანჭები გამოაჩინოს" და თუ თვითონ ვერ გავა რომელიმე შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე, სხვას დაუკარგოს საამისო შესაძლებლობა. გავიხსენოთ, თუნდაც, ის, რომ ფინელებმა სულ ახლახან, 17 აპრილს, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს — პოლონეთის გუნდს მისსავე მინდორზე აართვეს მეტად საჭირო ქულა (1:1), რაც პოლონელებს, შეიძლება, უკვე ძალიან ძვირად უზით.

სსრ კავშირისა და ფინეთის ფეხბურთელები არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს უმაღლესი რანგის ოფიციალურ შეჯიბრებებში. იყო შემთხვევა, როცა საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტოქე ასტრონომიული ანგარიშით დაამარცხეს (10:2), მაგრამ 1972 წელს ფინელებმა ფრეს მიაღწიეს — 1:1 და 1979 წელსაც ორჯერ აიღეს თითო ქულა საბჭოთა გუნდთან — 1:1 და 2:2. სხვათა შორის, სწორედ, 1979 წელს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ფეხბურთელები ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში და ფინელებთან ფრედ დამთავრებულმა ამ ორმა მატჩმა ჩვენს გუნდს, ჯერ ერთი, გადაუწურა ფინალში მონაწილეობის ყოველგვარი შანსი და, მეორეც, მან შესარჩევ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა სწორედ ფინელთა შემდეგ.

საქდესის კორესპონდენტი ამას წინათ ესაუბრა ფინეთის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენელს კ. სალონენს, რომელმაც განაცხადა: „დიდი ინტერესით ველით 1 ივნისის მატჩს საბჭოთა ფეხბურთელებთან. ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს მოვიპოვებთ თუ არა ფინალის საგზურს. გვინდა ვითამაშოთ ისე, რომ ყველას დავუმტკიცოთ: არც ჩვენა ვართ ხელწამოსაკრავნი". კ. სალონენის სიტყვები დაადასტურა ფინეთის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა მ. კუუსელამაც: „დასაკარგი არაფერი გვაქვს, ვითამაშებთ თამამად, მთელი შესაძლებლობით. ხომ წავართვით ქულა პოლონელებს, ახლა შევეცდებით ასეთივე რამ მოვიმოქმედოთ სხვა, არანაკლებ ძლიერ გუნდთან".

მ. კუუსელამ დაასახელა ფინეთის ნაკრების შემადგენლობაც, რომელიც მომავალი მატჩისთვის ემზადება: **მეკარეები** — ო. ხუტუნენი და ო. ისოახო; **დაცვა** — ა. ლაჰტინენი, მ. გრანსკოგი, ე. პეკონენი, პ. კიუმალაინენი; **ნახევარდაცვა** — ი. რემესი, ე. პეტაია. ზ. ტურუნენი, ლ. ჰოუტსონენი, კ. უკონენი, პ. რაუტიაინენი: **თავდასხმა** — ა. ვალვეე, ა. ისმაილი, ტ. ჰაკალა, ა. ჰიელი.

1 ივნისის შესარჩევი მატჩი შედგება ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე. თამაშს სჯის ჩეხოსლოვაკიელი არბიტრი დუშან კრჩნიაკი, ტელეგადაცემა დაიწყება 22 საათსა და 35 წუთიდან თბილისის დროით (I პროგრამით).

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

„ატლონი" „სლიგო"

ირლანდიაში დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატი, პირველი ადგილი დაიკავა „ატლონმა", ამ გუნდის უპირატესობაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც მარტო ის, რომ მან დააგროვა 65 ქულა, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა „დროგჰედამ" — 49. მესამე ადგილზეა ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი „დანდალკი" (48 ქულა).

ირლანდიის თასის გათამაშებაში გაიმარჯვა „სლიგომ", რომელმაც ფინალში დაამარცხა „ბოჰემიანსი" — 2:1.

● კრივი

უძლიერესთა მონაწილეობით

ვინც თვალს ადევნებს მსოფლიოს სპორტულ ცხოვრებას, შეამჩნევდა, რომ ეგრეთ წოდებულ „მკვდარ სეზონში", როცა არც ოლიმპიური წელია და არც მსოფლიო პირველობა თამაშდება, ამერიკის სხვადასხვა ქვეყნების გუნდები მოისწრაფვიან „ძველ სამყაროსაკენ", რათა დიდი შეჯიბრებების წინ ბრძოლით დაზვერონ მომავალი მეტოქეები, რომლებიც მათთვის მუდამ ანგარიშგასაწევნი იყვნენ. ასეა მაგალითად ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში... და ამ შეხვედრებს სტუმრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ დღეებში კი სსრ კავშირში, კერძოდ ორენბურგში ჩამოვიდნენ კუბელი მოკრივეები, რომლებიც, მართალია, ბოლო წლებში ასე წარმოჩნდნენ, როგორც მსოფლიო პირველობის, ისე ოლიმპიურ რინგზე, მაგრამ მაინც აინტერესებთ რა ხდება მეტოქეთა ბანაკში.

მათთან ერთად რინგზე გამოდიოდნენ მსოფლიოში აღიარებული მოკრივეები — ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან, იუგოსლავიიდან და სსრ კავშირიდან.

ასპარეზობაზე სამი შემადგენლობით წარდგნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები, მათ შორის: — ოლიმპიური ჩემპიონი შ. საბიროვი (48), ევროპის ექს-ჩემპიონები ნ. ხრაპცოვი (57), ი. ტორბეკი (81), იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონი ი. გლადიშევი (60).

დაძაბული ბრძოლების შედეგად თავიანთ წონებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: შ. საბიროვი, ი. ვანინი (რსფსრ), ტ. ბოტოში (უნგრეთი), მ. მარტინესი (კუბა), ი. გლადიშევი, ვ. სინელნიკოვი, მ. შირინი, კ. ლუზიანინი, ე. ილინზეერი, ი. ტორბეკი, ვ. კალაგანოვი, ა. ორეშკინი (ყველა რსფსრ).

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 22-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 7 (კლასიკური ჭიდაობა). 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 36 (საავიაციო სპორტი), 39 (მთამსვლელობა).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 17 (ციგურაობა), 30 (ძალოსნობა).

საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი

აცხადებს

მიღებას 1983-1984 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმი ამზადებს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს, რომლებსაც უფლება აქვთ იმუშაონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში. ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ტექნიკუმში ჩარიცხულ აბიტურიენტებს, რომლებიც მოისმენენ დამატებით ფაკულტატურ კურსს, შეუძლიათ მიიღონ მეორე პროფესია: ინსტრუქტორ-მეთოდისტისა სამკურნალო ფიზიკურ კულტურაში, მასაჟში და ტურიზმში.

საბუთების მიღება წარმოებს 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე ქართულ და რუსულ სექტორებზე.

ტექნიკუმში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, მშთ-ს კომპლექსის ჩაბარების მოწმობა და თანრიგის წიგნაკი: ჭიდაობაში, სპორტულ თამაშებში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში და მშთ-ში

მიღების დროს შეღავათებით სარგებლობენ:

ა) საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი, რომლებმაც იმსახურეს არა ნაკლები 2 წელი.

ბ) არჩეული სპეციალობის მიხედვით ორ წელზე მეტი სამუშაო სტაჟის მქონე პირები.

გ) ის პირები, რომლებიც სასწავლებლად გამოგზავნილი იქნებიან სამრეწველო საწარმოებიდან, მშენებლობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან თავიანთი ობიექტებისათვის კადრების მომზადების მიზნით.

დ) ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ქების სიგელით, ოქროს ან ვერცხლის მედლით ან ფრიადზე დაამთავრეს საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

მისაღები გამოცდები ტარდება 16-24 აგვისტოს შემდეგ საგნებში

1. სპეციალიზაცია — სპორტის არჩეულ სახეობაში (სსრ კავშირის სპორტის ოსტატები გამოცდისაგან თავისუფლდებიან).
2. საერთო ფიზიკური მომზადება (მაღალმთიანი რაიონის მკვიდრთათვის ცურვა იცვლება გიზრბენით).
3. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).
4. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

სწავლების ვადაა 2 წელი.

განცხადებას დაერთვის: საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ექვსი ფოტოსურათი (3X4), სპორტსმენის საკლასიფიკაციო ბილეთი, მოწმობა მშთ კომპლექსის ჩაბარების შესახებ, პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა, ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით, საერთო წესით.

ჩამოსულებს შეეძლებათ იცხოვრონ საერთო საცხოვრებელში.

სასწავლებლის მისამართი: **თბილისი, 380025, კონსტიტუციის ქ. № 6.**

ტელეფონები: 95-30-06,
95-88-50.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07622